



ჰიდროელექტროსადგურების შეფასების მეთოდოლოგია



2019

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „საბჭოთა პერიოდში აშენებული ჰიდროელექტროსადგურების შეფასება და რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო"-ს მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

©ფრიდრიხ ებერტის ფონდი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

თბილისი, სლავა მეტრეველის N4. 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21

ელ. ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge

ავტორები:

ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია

ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია

თამაზ ვაშაკიძე - ინოვაციის განვითარების ცენტრი

რედაქტორი: ცაცა ჟორდანიას

ჰიდროელექტროსადგურების შეფასების მეთოდოლოგია

თუ რამდენად არის ჰიდროელექტროსადგური ან მისი ცალკეული კვანძი გამართულ მდგომარეობაში და ობიექტზე ელექტროენერჯის გამომუშავების მიზნით სრულად (მაქსიმალური ეფექტიანობით) გამოყენებულია მიწოდებული წყლის პირველადი ენერჯის ენერგომეცველის პოტენციალი, შეიძლება განხორციელდეს ენერგოაუდიტის შესრულებით.

ჩატარებული 6 ჰესის კვლევისას ჩაფიქრებული იყო ჰიდროაგრეგატებზე დარჩენილი რესურსის განსაზღვრა (მარგი ქმედების კოეფიციენტი), მიღებული მონაცემების საპროექტოსთან და ანოლოგიურ თანამედროვე საუკეთესო დანადგარებთან შედარება და ამით იმ პოტენციალის დადგენა, რომლის გამოსაყენებლად უნდა იყოს მიმართული შესაბამისი ქმედება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა:

1. უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების გაფორმება ობიექტის მფლობელსა და ტექნიკური აუდიტის ჩატარებაზე უფლებამოსილ (აკრედიტებულ) ორგანიზაციას შორის (თანხმდება აუდიტის ჩატარების საფასური, აუდიტორების დაშვების პირობები და სხვა ტექნიკური საკითხები). ხელშეკრულების (ნიმუში მოცემულია დანართი 1-ში).
2. ობიექტის მფლობელმა გაუზიაროს ტექნიკური დავალება ტექნიკური აუდიტის ჩამტარებელ ორგანიზაციას (ნიმუში მოცემულია დანართი 2-ში).
3. აუდიტის ჩამტარებელმა ორგანიზაციამ შეათანხმოს ობიექტის მფლობელთან კითხვარი, რომლის მიხედვით ჩატარდება ტექნიკური აუდიტი. (ნიმუში მოცემულია დანართი 3-ში).
4. აუდიტის დამთავრების შემდეგ ხდება აუდიტის შედეგების განხილვა კოლექტივში. $\cos\varphi$

ენერგოაუდიტის შესრულების ეტაპები:

- 1. ტარდება ყველა ენერგეტიკული პროცესის კვლევა.
- 2. მოწმდება ენერგეტიკული მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობა, წინსწრები-გეგმური შეკეთებების გრაფიკები, აღრიცხვის ხელსაწყოების მდგომარეობა და მათი ფუნქციონირების სისწორე, დადებული ენერგეტიკული ხელშეკრულებების პირობები, ექსპლუატაციის ეფექტიანობისა და დაგეგმილი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციების შეფასება.
- 3. შემდეგ ხორციელდება კვლევის ანგარიშის მომზადება და განისაზღვრება ელექტროენერჯის დაზოგვის ეფექტიანი მიმართულებები.
- 4. მზადდება ჰიდროელექტროსადგურის ენერგეტიკულ-ეკოლოგიური პასპორტი (ნიმუში, როგორც მაგალითი, მოცემულია დანართი 4-ში).
- 5. პასპორტზე დაყრდნობით შემუშავდება ღონისძიებების გეგმა, ჩატარდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება დაგეგმილი ღონისძიებების შეთანხმება, შესრულდება განმარტებითი ბარათის და გაანგარიშებების გაფორმება.
- 6. მეთოდის შესაბამისად შემუშავდება ენერგოდაზოგვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას.
- 7. ენერგოდაზოგვის ღონისძიებების შეთანხმების და მათი განხორციელების შემდეგ, ტარდება მიღებული შედეგების გადამოწმება.
- 8. ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ენერგეტიკულ-ეკოლოგიური პასპორტის შემუშავების ძირითადი მიზნები (დანართი 5)

დანართი 1

მომსახურების ხელშეკრულება

თბილისი

XX“ XXXX 2019 წელი

ერთის მხრივ შპს „XX“ შემდგომში წოდებული როგორც “შემკვეთი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის (სახელი და გვარი) სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს "აუდიტორული კომპანია-(დასახელება)", წარმოდგენილი მისი დირექტორის (სახელი და გვარი) სახით, შემდგომში წოდებული როგორც “შემსრულებელი”, საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემკვეთს შემდეგი სახის მომსახურება: მოამზადოს საექსპერტო დასკვნა შემკვეთის მიერ ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის სახით.

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების სანაცვლოდ, შემკვეთი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, მიიღოს შეთანხმების შესაბამისად გაწეული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება;

2. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

2.1 შემკვეთი ვალდებულია:

2.1.1 დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

2.2 შემკვეთს უფლება აქვს:

2.2.1 მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.3 შემსრულებელი ვალდებულია:

2.3.1 სათანადო ხარისხით და არაუგვიანეს 2019 წლის _____ თვეში განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.3.2 უსასყიდლოდ და დროულად გამოასწოროს მომსახურებასთან დაკავშირებული (შესაძლო) ხარვეზი, რომელიც გამოვლინდა შესრულების პროცესში ან მას შემდეგ 3 (სამი) თვის ვადაში.

2.3.3 პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები;

2.4 შემსრულებელს უფლება აქვს:

2.4.1 მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციისა და მასალების დროულად მიწოდება;

3. ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შედგენს XXX (ბხბხბ) ლარს დ.დ.გ-ს ჩათვლით.

3.2 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, არაუგვიანეს სამუშაოების დასრულებისა და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (რაც გულისხმობს შემკვეთისათვის საექსპერტო დასკვნის ჩაბარებას) 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი;

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისთვის შემსრულებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის განუხორციელებელი მომსახურების მთლიანი ღირებულების 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის;

5. ფორსმაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ა.შ) და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ;

5.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

6. პრეტენზიები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ წერილობით ორი დღის ვადაში. პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

6.2 პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს იგი, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს), მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად თუ ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობოს მეორე მხარეს არაუგვიანეს ორი დღისა პრეტენზიის მიღების დღიდან.

7. დავათა გადაწყვეტა

7.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

7.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს;

8. დამატებითი პირობები

8.1 მხარეები თანხმდებიან რომ შპს “XX“-ის მიერ შპს "აუდიტორული კომპანია-(დასახელება)-სათვის ურთიერთშედარების შედეგად აღმოჩენილი, შეცდომით ზედმეტად გადარიცხული XXX (ხხხხხხ) ლარი ჩაითვლება გადახდილად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადასახდელ ნაწილში.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

8.3 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

8.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე და მხარეებს შესანახად გადაეცემა თითო ეგზემპლიარი.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემკვეთი

შემსრულებელი

დანართი 2

ტექნიკური დავალება

(ფორმა ნებისმიერი, შეუზღუდავი)

შპს “XXXX” (დამკვეთი) და შპს “აუდიტორული კომპანია “XXXX” (შემსრულებელი) შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს ევალება, “XXXX”-ს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ჩაატაროს ჰიდროელექტროსადგურის (მდინარე “XXXX” მდებარე ჰიდროელექტროსადგური, მესაკუთრე შპს “XXXX”) ტექნიკური ექსპერტიზა იმის დასადგენად, თუ:

I ვარიანტი: რა სახის კვლევები უნდა ჩატარდეს ობიექტზე (კონკრეტულ ჰესსზე), რომ გაირკვეს ჰესის მუშაობის ეფექტიანობა?

II ვარიანტი: მომზადდეს ღონისძიებების პაკეტი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰესის ენერგოეფექტიანობის გაზრდას. პაკეტი წარმოადგენს დოკუმენტს, სადაც გაწერილია ჰესის მფლობელთან შეთანხმებული, ობიექტზე მთლიანად (ან ცალკეულ კვანძებზე) სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო სავარაუდო სახსრები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

III ვარიანტი: სარეაბილიტაციო (სარეკონსტრუქციო) სამუშაოების დამთავრების შემდეგ ექსპერტიზის ჩატარება, თუ რამდენად იქნება ჰესზე მდინარე „მდმდმდმდ“-ში 50%-ანი ჩამონადენის დროს უზრუნველყოფილი ეკონომიკური საუკეთესო (ან საპროექტო)

დავალება გასცა

შპს “XXXX”

დავალება ჩაიბარა

შპს "აუდიტორული კომპანია “XXXX”

დანართი 3

ენერგოაუდიტის (პროექტის) საპროექტო დასკვნა

1. ადგილმდებარეობა:
2. დამკვეთი:
3. ინვესტორი, ფინანსირების წყარო:
4. გენდამპროექტებელი, ლიცენზიის არსებობა:
5. ქვემოთაღნიშნული დამპროექტებელი ორგანიზაციები და მათ მიერ შესრულებული პროექტები:
6. მოიჯარადე სამშენებლო ორგანიზაცია:
7. პროექტის შემუშავების საფუძველი:
8. ძირითადი მონაცემები და მიღებული გადაწყვეტილებები:
 - 8.1. მშენებლობის მიზნობრივი და სამეურნეო აუცილებლობა:
 - ობიექტის მშენებლობის შედეგად გარკვეული პროდუქციის მიმართ პერსპექტიული აუცი-ლებლობის უზრუნველყოფა;
 - 8.2. მშენებარე უბნის დახასიათება:
 - ობიექტის განლაგების ვარიანტები, შედარებითი ანალიზის შედეგები და ამორჩეული უბნის, ტრასის უპირატესობა;
 - მშენებლობისათვის რეკომენდირებული ფართის მოკლე აღწერა, კლიმატური მონაცემები, საინჟინრო-გეოლოგიური, ეკოლოგიური და სხვა პირობების მიმართ;
 - მონაცემები ადგილობრივი სახელმწიფო მართვის ორგანოებთან მიწათმფლობელობის და ტერიტორიის საწარმო ინფრასტრუქტურის, ასევე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმების შესახებ.
 - 8.3. წლიური სიმძლავრე და პროდუქციის ნომენკლატურა:
 - გამომწვებული პროდუქციის მოცულობა (სიმძლავრე);
 - პროდუქციის ძირითადი ნომენკლატურა და მისი დახასიათება;
 - მატერიალური ნედლეული და სხვა სახის რესურსების არსებობა (ნედლეულის, მასალების დამაკომპლექტებელი ნაკეთობების ძირითადი სახეობები);
 - 8.4. ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები:
 - ტექნოლოგიური პროცესების, ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის, მანქანების და მექანიზმების საერთო დახასიათება;

8.5. წარმოების და მართვის ორგანიზება:

- საწარმო-ტექნოლოგიური სტრუქტურა და წარმოების შემადგენლობა;
- ძირითადი საწარმოების და საამქროების სიმძლავრეები;
- გადაწყვეტილება დამხმარე ობიექტების, სარემონტო, სასაწყობო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ობიექტების მიმართ;
- მართვის სტრუქტურა, წარმოების მუშაობის რეჟიმი;
- მუშაკების საერთო რაოდენობა, წარმოების და მშენებლობის უზრუნველყოფა შრომითი რესურსებით;

8.6. გენერალური გეგმა, ტრანსპორტი:

- გენერალური გეგმის ძირითადი გადაწყვეტილებები და მაჩვენებლები;
- ტვირთნაკადების სქემა, გადაწყვეტილება შიდატერიტორიული ტრანსპორტის მიმართ.

8.7. ძირითადი სამშენებლო გადაწყვეტილებები:

- ყველაზე მსხვილი და რთული ნაგებობების მოცულობით-გეგმიური და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მოკლე დახასიათება;
- გადაწყვეტილება ფუნდამენტების მიმართ;
- ნაგებობების მდგრადობის და სიმტკიცის უზრუნველყოფა.

8.8. საინჟინრო უზრუნველყოფა:

- საწარმო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის საჭირო წყლის, სითბური და ელექტროენერჯის წყაროები და ობიექტები (ელექტროგადამცემი ხაზები, თბოტრასები);
- მეორადი ენერგეტიკული და ნედლეული რესურსების გამოყენება (თანმდევრი პროდუქტების სითბო, სითბოგადამცემი მოწყობილობის გამოყენება და ა.შ.).

8.9. სამოქალაქო დაცვის (ს.დ.) საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები:

- ს.დ. საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დახასიათება; ს.დ. ფართობების გამოყენება სამეურნეო მოღვაწეობის ჩვეულებრივ პირობებში.

8.10. გარემოს დაცვა:

- რაიონის საერთო ეკოლოგიური დახასიათება;
- ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის გავლენის შეფასება გარემოზე;
- ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და გარემოს დაცვის მიმართ;
- გადაწყვეტილებები საწარმოო უსაფრთხოების და შესაძლო ავარიული სიტუაციების გაფრთხილების და ლიკვიდირების უზრუნველყოფის მიმართ;
- მშენებლობის პროექტის საჯარო განხილვის შედეგები და საზოგადოების აზრი.

8.11. შრომის დაცვა:

- ობიექტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის და შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიმართ სახელმწიფო ზედამხედველობის და ინსპექტირების ნორმატიული და ტექნიკური მოთხოვნების დაცვის ღონისძიებები;
- საშიში და მავნე საწარმოო ფაქტორებისაგან (ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური და რადიაციული გამოსხივება და სხვა) მომუშავე პერსონალის დაცვის ტექნიკური გადაწყვეტილებები.

8.12. მშენებლობის ორგანიზირება:

- ძირითადი სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების მოცულობა;
- მოთხოვნა სამშენებლო მასალების მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ;
- ობიექტის მშენებლობის ვადები და შრომატევადობა;
- მშენებლობის თანმიმდევრობა, გამშვები კომპლექსები.

8.13. მშენებლობის ღირებულება და ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა:

- მშენებლობის ღირებულება;
- ინვესტიციების ეფექტიანობა, ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება მაჩვენებლებთან, რომლებიც განსაზღვრულია მშენებარე ობიექტის ინვესტიციის დასაბუთებაში.

9. შენიშვნები და წინადადებები მიღებული გადაწყვეტილებების და ექსპერტიზის შედეგების მიმართ:

- შესაბამისობა საპროექტო დავალების მიმართ, მშენებარე ობიექტის ინვესტიციის დასაბუთების მიმართ, სახელმწიფო ზედამხედველობის და დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ გაცემული ტექნიკური პირობების და მოთხოვნების მიმართ და შესაბამის დარგში ტექნიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მიმართ;

- წარდგენილი მასალების შემადგენლობის და კომპლექტაციის შეფასება; საინჟინრო კვლევების ხარისხის და სისრულის შეფასება.

- მე-7 პუნქტში მოცემული საპროექტო დოკუმენტაციის ყველა ნაწილის ხარისხის შეფასება;

- წინადადებები ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების, ექსპლუატაციური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართ. რესურსების რაციონალური გამოყენების შედეგად მიღებული: მშენებლობის ღირებულების N-ჯამი; (შემცირება, გაზრდა), გამოყენებული საწვავ-ენერგეტიკული რესურსების, შრომითი რესურსების, ძირითადი სამშენებლო მასალების შემცირება.

10. დასკვნები:

საერთო დასკვნები ობიექტის მშენებლობის და მისი რეალიზაციის პროცესის მიზანშეწონილობის შესახებ. მთლიანობაში მშენებლობის პროექტის ხარისხის შეფასების და ექსპერტიზის შედეგად შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით, პროექტი რეკომენდირებულია დამტკიცებისადმი (მოყვანილია დამტკიცებისადმი რეკომენდირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება დარგის სპეციფიკით და მშენებლობის სახეობით). პროექტი არ მიიღება და ბრუნდება დასამუშავებლად.

დანართი 4

**ჰიდროელექტროსადგურის
ენერგეტიკული პასპორტი**

შედგენილია ენერგეტიკული კვლევის მასალებზე დაყრდნობით

_____ 2019 წ

თარიღი

ჰიდროელექტროსადგურის ხელმძღვანელი _____

კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი _____

ლიცენზია, აკრედიტაცია N _____

ვის მიერაა გაცემული _____

გაცემის თარიღი _____

ა. _____

ობიექტის სრული დასახელება და მისამართი _____

ბ. _____

საკუთრების სახეობა _____

ბ. _____

ზემდგომი სათავე ორგანიზაციის დასახელება _____

დ. _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი _____

ტელ. _____

ე. _____

ტექნიკური დირექტორის სახელი და გვარი _____

ტელ. _____

ვ. _____

საბანკო რეკვიზიტები _____

ზ. _____

ელექტრონული ფოსტის კოდი _____

1. ჰესის (საწარმოს) დახასიათება) _____

1.1. პირველი აგრეგატის ექსპლუატაციაში შეყვანის წელი _____

1.2. ჰესის დადგმული სიმძლავრე _____

1.3. აგრეგატების რაოდენობა _____

1.4. აგრეგატის სიმძლავრე _____

1.5. ჰიდროტურბინული დანადგარები:

ჰიდროტურბინის დამამზადებელი ქარხანა _____

მუშა თვლის ტიპი _____

ტურბინის ნომინალური სიმძლავრე წყლის საანგარიშო დაწნევის

და ხარჯის დროს _____

მაქსიმალური დაწნევა _____

მინიმალური დაწნევა _____

ტურბინის რეგულატორის ტიპი _____

1.6. ჰიდროგენერატორები:
 დამამზადებელი ქარხანა _____
 ჰიდროგენერატორის ტიპი _____
 ნომინალური სიმძლავრე _____ cosφ-ის დროს _____ cosφ
 აღზნების სისტემა _____
 აღზნების რეგულატორის ტიპი _____

1.7. წყალსაცავი:
 სრული და სასარგებლო მოცულობა _____
 რეგულირების ციკლი _____

1.8. საკუთარი მოხმარების ელექტროენერჯის ძირითადი მომხმარებლები _____

1.9. ძაბვის დონეები:
 საგენერატორო _____
 ენერჯის ტემასთან დამაკავშირებელი მ.ძ. _____
 საკუთარი მოხმარების _____

ჰესის მუშაობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში

მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მაჩვენებელი პროექტით ან ნორმატივით	მაჩვენებელი წლების მიხედვით		
1. საშუალოწლიური სიმძლავრე	მგვტ				
2. ელექტროენერჯის წარმოება	მლნ.კვტსთ				
3. გამოყენებული საათების რაოდენ.	სთ.				
4. საშუალო დატვირთვის კოეფიცი.	%				
5. ტექნიკური გამოყენების კოეფიცი.	%				
6. წყლის ხვედრითი ხარჯი	მ ³ /წმ				
7. ს/მ-ზე ელ.ენერჯის ხარჯი	მლნ.კვტსთ.				
8. თვითოეული აგრეგატის მქკ და ჰესზე მთლიანად: მაქსიმალური მნიშვნელობა	%				
მაქსიმალური დატვირთვის დროს	%				
მინიმალური დატვირთვის დროს	%				
საშუალო ინტერვალური მნიშვნელ.	%				
9. ჰესის ტურბინებში გატარებული წყლის წლიური რაოდენობა	მლნ.მ ³				
10. ჰესის ქვედა ბიეფში წყლის ეკოლოგიური რაოდენობა	მ ³ /წმ				
11. უქმად დაღვრილი წყალი	მლნ.მ ³				
12. დაწნევის საშუალომეწონილი მნიშვნელობა					

ელექტროენერჯის ბალანსი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში

ელექტროენერჯის გაცემა და მიღება მლნ.კვტსთ	წლები		
1. საკუთარი წარმოება			
2. მიღებულია ელექტროსისტემიდან			
3. გაცემულია ელექტრულ ქსელში			
4. ელექტროენერჯის საკუთარი ხარჯი			
5. ელექტროენერჯის სამეურნეო ხარჯი			
6. ელექტროენერჯის საწარმოო ხარჯი			

ჰესის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ძირითადი ღონისძიებების ჩამონათვალი და მათი შესრულების ვადები

N	ღონისძიებების დასახელება	მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი	შესრულების ვადა	საჭირო ფინანსური რესურსი (ათასი ლარი)

დანართი 5

ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ენერგეტიკულ–ეკოლოგიური პასპორტის შემუშავების ძირითადი მიზნები

ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ენერგეტიკული პასპორტის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ქვედანაყოფის (მუნიციპალიტეტის) ენერგოუზრუნველყოფის არსებული მდგომარეობის და ბუნებრივი ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა, და ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ქვედანაყოფის შემდგომ განვითარებას, საინვესტიციო კლიმატის გაზრდას, საიმედო ელექტრომომარაგებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

მიზნის მისაღწევად იქნება შესრულებული შემდეგი ამოცანები:

1. შემუშავდეს რეგიონის ენერგეტიკული პარამეტრების თვისობრივად ახალი დონეების ეტაპობრივი მიღწევა. მათ შორის მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული მეურნეობის უნარი შესაბამისი ხარისხითა და ეკონომიკურად გამართლებული ფასებით დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ენერგოშემცველებზე.
2. სისტემის უნარი ფორსმაჟორულ სიტუაციაში მისი მაქსიმალური მდგრადობის შენარჩუნება
3. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის უნარი ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი და საქართველოში არსებული ენერგორესურსები და თავიდან აიცილოს არარაციონალური ხარჯები და სათბობენერგეტიკული ბალანსის დეფიციტი.
4. ნორმალურ პირობებში ადმინისტრაციული ქვედანაყოფის (მუნიციპალიტეტის) ენერგოუზრუნველყოფის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება.

5. ენერგეტიკული მეურნეობის მდგრადობა შიდა და გარე ეკონომიკურ ტექნოგენურ და ბუნებრივ საფრთხეთა მიმართ და დესტაბილიზაციის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორის გამოვლენის შედეგად მიყენებული ზარალის მინიმიზაციის უნარი მუნიციპალიტეტში არსებული და გამოუყენებელი ჰიდროენერგეტიკული და ალტერნატიული ენერგეტიკული პოტენციალების ამოქმედების ხარჯზე.

ამოცანების შესრულება უზრუნველყოფს შემდეგი პრობლემების გადაჭრას:

- ადმინისტრაციული ერთეულის ავტონომიურ ენერგომომარაგებას და აქედან გამომდინარე მაქსიმალურ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას.
- არსებულთან შედარებით ქსელში ტექნიკური დანაკარგების შემცირებას და ეკონომიკურ რენტაბელობას.
- საკუთარი იაფი უმეტესწილად ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების ხარჯზე შეიქმნება წინაპირობა ტყის გაკავვის შემცირებისა რაც მუნიციპალიტეტში ნაწილობრივ გადაჭრის ეკოლოგიურ პრობლემებს
- ადმინისტრაციული ერთეულის გარანტირებული ენერგომომარაგება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს არსებული და ახალი სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ობიექტების ამოქმედებას.

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს:

- ადმინისტრაციული ერთეულის ენერგოუსაფრთხოების გარანტიის გაზრდას,
- ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიური პოტენციალის სრულყოფას,
- საყოფაცხოვრებო სექტორის და მრეწველობის სხვადასხვა დარგების სიცოცხლისუნარიანობას,
- ადმინისტრაციული ერთეულის უნარს დამოუკიდებლად გადაჭრას & nbsp; რეგიონალური საკითხები
- ფორსმაჟორულ სიტუაციაში იმ ძირითადი მახასიათებლების და პარამეტრების შენარჩუნებას რომლებიც უზრუნველყოფენ ელ. ენერჯის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობას.
- ადგილობრივ დონეზე ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული ელ. ენერჯის ოდენობის მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებთან მიახლოებას.

პროექტის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შემდეგი მექანიზმები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული აღწერა;
- მრავალწლიანი მეტეოროლოგიური მონაცემების (ქარიანობა, ნალექები, მზიანობა, მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო ტემპერატურები თვეების მიხედვით და დღე-ღამის ჭრილში, ინფორმაცია წყალდიდობის, სეისმური და სხვა) აღწერა;
- არსებული ენერგეტიკული ობიექტების და ქსელების აღწერა ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით. ელექტროსადგურები, გაზგამანაწილებელი პუნქტები და საკომპრესორეობი, ქვესადგური, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, სატრანსფორმატორო ჯიხურები, მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენები;
- ზოგადი ინფორმაცია ტერიტორიული ერთეულის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტებისა და შესაძლებლობების შესახებ;
- ინფორმაცია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შესახებ:
 - ენერგომატარებლების საერთო მოხმარება;
 - საწვავის მოხმარება (ბენზინი, დიზელი);
 - სხვა ენერგომატარებლების მოხმარება (ბუნებრივი აირი, შეშა, ნახშირი, მაზუთი);
 - ელექტროენერჯის მოხმარება
- საქართველოს მდინარეების მცირე ჰიდროენერგეტიკული ტექნიკური პოტენციალის კადასტრი, საქართველოს ქარის ენერგეტიკული ატლასი, საქართველოს ტერიტორიაზე მზის რადიაციის ატლასი.

ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ერთეულის შესწავლას ენერგეტიკული თვალსაზრისით იქნება საველე სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ანუ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიზნობრივად შემოვლა, და იმ წერტილების განსაზღვრა (კოორდინატების მითითებით) სადაც სავარაუდოდ განლაგდება პოტენციური ენერგეტიკული ობიექტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მეტეოსადგურების მიერ დაგროვებული სტატისტიკური მასალის აღება და გადამუშავება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა იქნება ***** წელი, რაც ასახულია შესაბამის გეგმა-გრაფიკში.

ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ენერგეტიკული პასპორტის შემუშავების მოსალოდნელი შედეგებია:

- ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ენერგეტიკული უსაფრთხოება ამაღლება;
- ადმინისტრაციული ქვედანაყოფის გარანტირებული უწყვეტი ენერგომომარაგება;
- არსებული და ახალი სამრეწველო, სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება;
- პოტენციური ინვესტორებისათვის მომზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების ხარჯზე გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება;
- ფორსმაჟორულ სიტუაციაში ადმინისტრაციული ერთეულის ელ. ენერგიით ავტონომიურად უზრუნველყოფა.

პროექტის ძირითად მოსარგებლედ შეიძლება განვიხილოთ ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, რეგიონალური მართვის ორგანოები, ენერგეტიკის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, ბიზნეს სექტორი და კერძო მეწარმეები.

პროექტის განხორციელებისათვის პროგრამის მონაწილეების შერჩევა მოხდება პროფესიონალური ნიშნით, მათი გამოცდილებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის გათვალისწინებით.

სწორად შერჩეული პროექტის აქტივობები, მის განხორციელებაში ჩართული მაღალკვალიფიციური ექსპერტები, შეიძლება მივიჩნიოთ პროექტის წარმატებულობის წინაპირობად. ხოლო პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულის ენერგეტიკული პასპორტი მსოფლიოში არსებული ენერგეტიკული პასპორტების საუკეთესო ანალოგების მოთხოვნებს აკმაყოფილებს და შეიძლება ჩაითვალოს პროექტის წარმატებულობის გარანტიად (ჩვენს მიერ პროექტის შემუშავების პროცესში განხილულ იქნა ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული პასპორტების მოდელები).

რაც შეეხება პროექტში გათვალისწინებულ ახალი ენერგეტიკული ობიექტების აშენების წინადადებებს, პრიორიტეტების მიხედვით, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის და სხვა დანატერესებულ სამინისტროებს ექნება საშუალება რეკომენდაციები მისცეს პოტენციურ ინვესტორს შესწავლილი სიმძლავრეების ათვისებისათვის. ეს კი იქნება იმის წინაპირობა, რომ Nპ; პოტენციური ინვესტორი დაგვიკვთავს ასეთი პროექტის შედგენას. ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების შესწავლა საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ბიზნესმენებს განახორციელონ შერჩეული ენერჯის წყაროს ოპტიმალურად ხელსაყრელ ადგილზე განთავსება ობიექტთან. პროექტის მიღწევების შენარჩუნება და შემდგომი განვითარების მაგალითი იქნება ახალი ტურისტული, მცირე ბიზნესის ობიექტების შექმნა რაც დაკავშირებული იქნება ენერჯის უწყვეტ და იმედიან მიწოდებასთან. შედეგად მიღწეული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საკითხის გადაწყვეტა და შესაბამისად შემცირდება მიგრაცია. ვინაიდან შეთავაზებული რაიონები მისი გეოგრაფიიდან გამომდინარე (ისევე როგორც საქართველოს ძირითადი რაიონები) განთავსებულია საზღვრისპირა ტერიტორიებზე კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საზღვრის დაცვის და საბაჟო დეპარტამენტების მიერაც.

რაც შეეხება პროექტის გრძელვადიან გავლენას რეგიონზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება უწყვეტი ეკოლოგიურად სუფთა ენერგიით მომარაგების საკითხის გადაჭრა, რაც გამოიწვევს:

- ფორსმაჟორულ სიტუაციებში მუნიციპალიტეტის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას და ავტონომიურ ენერგოუზრუნველყოფას მათ შორის პურის საცხოვების, საავადმყოფოების, სკოლების, საბავშვო ბაღების, კავშირგაბმულობის ობიექტების, მოსახლეობის და ა.შ.
- ტურიზმის განვითარებას სამკურნალო-პროფილაქტიკური და დასასვენებელი ობიექტების მშენებლობას და ამოქმედებას.
- რეგიონში სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობი, ფერმერული მეურნეობების და მცირე ბიზნესის განვითარება.
- საყოფაცხოვრებო დანიშნულების კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების განვითარებას.
- დასაქმების და მიგრაციის პრობლემების გადაწყვეტას.

ჩვენი ასოციაციის მიზანია: საქართველოში ენერგოდაზოგვითი ტექნოლოგიების განვითარების და დანერგვის ხელშეწყობა; ალტერნატიული ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკის განვითარება; ენერგოაუდიტორული შესწავლის საფუძველზე ენერჯის დაზოგვა და ეფექტური გამოყენება. როგორც მოგეხსენებათ, მთელს მსოფლიოში ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეების შექმნის პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენერჯის დაზოგვას და მის ეფექტურად გამოყენებას, რაც არა მხოლოდ ენერგეტიკული, არამედ ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემაცაა.

ვინაიდან პროექტის მიზანია ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, მოახდენს რეგიონის ენერგომომარაგების უწყვეტობის ზრდას და იმედიანობას აგრეთვე ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიცირებას გაიზრდეს სამუშაო ადგილები და მოსახლეობის შემოსავლები ყოველივე ზემოთაღნიშნული დადებითად იმოქმედებს რეგიონის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე რაც გამოიხატება ცალკეული ოჯახების შემოსავლებზე და შესაძლებლობაზე შეიძინონ და გამოიყენონ თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომელიც შეცვლის ხელით შრომას რაც მნიშველოვნად შეამსუბუქებს ქალის შრომას. შესაბამისად დასაქმების საკითხში იქნება გამოყენებული როგორც ქალთა შრომა რაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის განვითარებას, ეს კი მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული სექტორის განვითარების და სრულყოფის საფუძველია.

1. ამრიგად, მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამალღება მიღწეული იქნება:

- სათბობენერგეტიკული ნაკადების ოპტიმალური გამოყენების და აქედან გამომდინარე მათი ეკონომიურ გამოყენების და დაზოგვის ხარჯზე;
- ელ. ენერჯის არასაწარმოო დანაკარგების და მთლიანი დანაკარგების შემცირების ხარჯზე;
- რეკომენდაციების შემუშავებით სათბობენერგეტიკული რესურსების მინიმალურად დასაშვები, ხელუხლებელი მარაგების შექმნის ხარჯზე;
- ადგილობრივი რესურსების და უპირველესყოვლისა მცირე ელ. სადგურების და მზის ბატარეების დაპროექტების და დამონტაჟების ხარჯზე;
- ენერგორესურსების წარმოების, განაწილების და მოხმარების ეფექტურობის გაზრდის ხარჯზე;
- მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს შეფასებისა და მიმზიდველობის გაზრდის, შესაბამისი არგუმენტების დასაბუთების ხარჯზე (ჩადებული ინვესტიციების დაბრუნების პერიოდის განსაზღვრით);
- მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერებით (ადგილობრივი განახლებადი რესურსების გამოყენება);
- სიცოცხლის უზრუნველსაყოფად რესურსების მიწოდების იმედიანობის ამალღებით;
- მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებით;
- სათბობ-ენერგეტიკული რესურსების შემცირების, მუნიციპალიტეტში წარმოებული სამრეწველო და სხვა პროდუქციის ენერგოტევადობისა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხარჯზე, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ხარჯების ოპიმიზაცია;
- წარმოება-დაწესებულებებში ენერგოეფექტური დანადგარების, ტექნოლოგიების და მასალების დანერგვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდა;
- სათბობ-ენერგეტიკულ და კომუნალურ სექტორებში კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა, არგადახდების პრობლემის შემცირება;
- ენერგოდაზოგვის სტიმულირების მიზნით, სეწმეკის მიერ დამტკიცებული ტარიფების ფარგლებში, დრეკადი ენერგოდაზოგვის სისტემის შექმნა;

2. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის და პრიორიტეტების, აგრეთვე მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული სექტორის პროგრამების შემუშავებაში და მათი განხორციელების კოორდინაციაში, რაც გამოიხატება ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად განსაზღვრული ახალი საამშენებლო ენერგეტიკული ობიექტების სიაში დამატებით შესწავლილი, ეკონომიკურად გააზრებული და დასაბუთებული ობიექტების შეტანა;
- რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით გრძელვადიანი ინვესტიციების და საკრედიტო რესურსების მოზიდვის ხელშეწყობაში და საბუთებული პროგრამის შემუშავებაში ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულისათვის;
- საგანგებო მდგომარეობისათვის ენერგეტიკის დარგში შემუშავებულ სახელმწიფო სტრატეგიაში დაბალანსებული მუნიციპალიტეტის გათვალისწინება;
- ენერგეტიკის დარგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის განსაზღვრისას გათვალისწინება ამ საკითხში უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტიდან ენერგეტიკული რესურსების მეზობელ მუნიციპალიტეტებისათვის მიწოდება;
- ენერგეტიკული რესურსების მოპოვების გაფართოების განახლებადი (ალტერნატიული) ენერჯის წარმოების უპირატესი ათვისების ენერგოეფექტური ღონისძიებების ხელშეწყობაში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან წარმოების წარმოების ეფექტურობის გაზრდასთან;

3. პრაქტიკული ღირებულება და ორიგინალობა გამოიხატება იმაში, რომ შემოთავაზებულ ერთ დოკუმენტში თავმოყრილი და გაანალიზებული იქნება ადმინისტრაციული ერთეულის მიერ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ამჟამინდელი გამოყენება და არსებული გამოყენებელი ენერგეტიკული პოტენციალის შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია, რომ ანალიზის შედეგად რეკომენდაციებში იქნება გამოკვეთილი თანამედროვე, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებით დამზადებული მოწყობილობა-დანადგარების და ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენება, იქნება ჩატარებული გათვლები მოქმედი ენერგეტიკული დანადგარების შეცვლის თაობაზე ახალი დანადგარებით და გაანალიზებული იქნება ჩადებული თანხების უკუგების პერიოდი. მყარი ენერგოუზრუნველყოფა ხელს შეუწყობს არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და განვითარებას, რაც აგროტურიზმის ანუ `სოფლური ტურიზმის` საფუძველი იქნება. ენერგოეფექტური და ალტერნატიული ელექტროენერჯის წყაროების გამოყენება სოფლად გახდება საწინდარი:

-ფერმერის მიერ დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალებათ ენერგეტიკული რესურსების დამატებით მიწოდების ხარჯზე;

-ფერმერის მიერ ნაწარმოები პროდუქციის პირდაპირ რეალიზაცია ეკოტურისტებზე;

-მიგრაციული პროცესების ვექტორი შემობრუნდება მთისკენ;

-სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის და კულტურის ამაღლება;

-ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების რეალური მოტივაცია;

-მინარეწვისა და გლეხური მეურნეობის ტრადიციული წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

-სოფლად მთაში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

ყველა იმ შედეგიდან გამომდინარე რაც მოჰყვება შემუშავებული პროექტის რეალიზაციას იგი იქნება სიცოცხლისუნარიანი და მისი პრაქტიკული რეალიზაცია სტიმულს მისცემს მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის შესაბამისი პროექტების შემუშავებას.

პროექტის შედეგების პრაქტიკული განხორციელების გეგმა: პროექტის შესასრულებლად დამუშავებულია კონკრეტული ფერმერული მეურნეობების პირობებში ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალურად გამოყენების მეთოდოლოგია, შექმნილია შესაბამისი აღჭურვილობის მონაცემთა ბაზა, შემუშავებულია მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებული პუნქტების ენერგო რესურსების შეფასების ცხრილი. მის საშუალებით შესაძლებელი გახდა დასახლებაში ელ.ენერჯის განვითარების მიმდინარე მდგომარეობის შეფასებასა და ასევე ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი ენერჯის წყაროს შეყვანის შესაძლებლობის განსაზღვრა.

დასახლებული პუნქტების ენერგო მარაგის შეფასების ცხრილი შექმნილია როგორც სოფლის კითხვარი, სადაც თავმოყრილი იქნება ტექნიკური, სოციალური, ეკონომიკური და აღრიცხული მოსახლეობის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია მოხმარებული ელ.ენერჯისა და ხარჯების, ოჯახების შემოსავლების და არსებული სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ასევე "ენერჯია სოფლად" პროექტების პოტენციალის ეკონომიკური ზეგავლენის დადგენა და დასახლებების მხრიდან ამ პროექტის თანადაფინანსების შესაძლებლობების განსაზღვრა.

დასახლების მოკლე დახასიათება

გეოგრაფიული ინფორმაცია	მხარე, მუნიციპალიტეტი, სათემო საკრებულო, სოფელი, სიმაღლე ზღვის დონიდან მ.
დასახლების სახელი	
დასახლების ტერიტორიაზე არსებული პატარა სოფლების სახელები	
ადგილმდებარეობა	აღმოსავლეთი (დასავლეთი)
მუნიციპალიტეტის სახელი	
ადმინისტრაციული ცენტრი	
უახლოესი სოფლის ცენტრი	
ინფრასტრუქტურა (მაგ: გზები, წყლით მომარაგება, სასტუმროები და ა.შ)	
ელექტროგადამცემი ხაზები, მოწყობილობები და მათი მდგომარეობა	
მანძილი უახლოეს ელექტროენერჯის ან გაზომომარაგების პუნქტებამდე	
კლიმატი და მეტეოროლოგია (მაგ: ჰაერის ტემპერატურა (საშუალო, თვიური, უმაღლესი), ნალექიანობა, ქარის სიჩქარე, მზიანი/ღრუბლიანი დღეები)	

ოჯახების რაოდენობა:

ოჯახებში მაცხოვრებლების საშუალო რიცხვი:

მუდმივად მცხოვრებთა რაოდენობა:

სეზონურად მაცხოვრებელი ოჯახები:

მიგრაციის ფორმა და დრო:

ეთნიკური უმცირესობები:

სოციალურად დაუცველ ხალხთა ჯგუფი (მაგ: იძულებით გადაადგილებულნი (ლტოლვილები), პენსიონერები და სხვა)

სათემო კავშირების არსებობა:

დემოგრაფიული მონაცემები

მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა

მოსახლეობა	მდედრობითი	მამრობითი
მოზარდი (15 წლის ზევით)		
ბავშვი		
სულ		
საერთო შედეგი		

სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა დასახლებაში:

დასახლების ძირითადი და/ან სასოფლო სამეურნეო საქმიანობის აღწერა.

დასახლების საქმიანობები (საქმიანობების ნუსხა, რომელშიც შედის ხის გადამამუშავებელი, რძის, ავეჯის ქარხნები, მაღაზიები, სამაცივრე საწყობები და სხვა):

ძირითადი დამქირავებლები:

სახელი	პროდუქტი ან მომსახურება	დაქირავებულთა რაოდენობა	მდებარეობა

ინდ. მეწარმეები:

დასახლებაში არსებული სოციალური დაწესებულებები, (ყველა სოციალური დაწესებულების ჩამონათვალი, რომელშიც შედის სკოლები, კლინიკები, საცურაო აუზები, დასახლების შენობები და ა.შ)

დასახლების ეკოლოგიური მდგომარეობა:

ინფორმაცია მიწის საფარის შესახებ (მაგ: მთლიანი სივრცე, ტყით დაფარული სივრცე, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და ა.შ)

ჰიდროლოგიური რესურსები და მათი გამოყენება (მაგ: სარწყავი სამუშაოები, ჰიდროენერგეტიკა, ძალების აღდგენა(რეკრეაცია, დასვენება) და ა.შ)

ტყის რესურსები და მათი გამოყენება:

მინერალური რესურსები: (თერმალური წყალი, მინერალები და სხვა)

პოტენციური ეკოლოგიური რისკის არსებობა (წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ)

მანძილი არსებულ (დაგეგმილ), პოტენციურად დაცულ ადგილებამდე.

საერთო ენერგო მდგომარეობა დასახლებაში:

ენერგო რესურსების გამოყენება (წლიური)

ოჯახები:

რესურსი/წყარო	ერთეული	(წლიური) რაოდენობა თითო ოჯახზე	ოჯახთა რაოდენობა
ხე-ტყე	მ3		
ნახერხი	მ3		
ცხოველთა ფეკალიები	კგ		
ელექტროობა ხაზიდან	კილოვატსაათი და ლარი		
ნავთობპროდუქტი	ლ		
თხევადი ნავთობის აირი	კგ		
ნავთი	ლ		
დიზელი	ლ		
ბენზინი	ლ		
ბუნებრივი აირი	მ3		
სხვა:			

ხელმისაწვდომი ენერგო რესურსები

რესურსი	ერთეული	ერთეულის ფასი	შენიშვნები ვარგისიანობის, მდგრადობის და სხვა საკითხების შესახებ
ხე-ტყე	მ3		
ნახერხი	მ3		
ცხოველთა ნარჩენები	მ3		
ელექტროობა ხაზიდან	კილოვატსაათი		
ელექტროობა ადგილობრივი ჰესებიდან			
ნავთობპროდუქტი			
თხევადი ნავთობის აირი	ერთი 10კგ ბალონი		
ნავთი			
დიზელი			
ბენზინი			
ბუნებრივი აირი			
სხვა:			

ადგილობრივი გამოუყენებელი ენერგო რესურსები: (ნარჩენების მართვა)

ცხოველთა ნარჩენები :

ნახირი:

ქათმები:

ღორები:

სხვა: ცხვრები, თხები –

გეოთერმული (აღწერა)

მზის (აღწერა)

სხვა:

დანართი 6

ამონარიდი დ. შარიქაძის დისერტაციიდან

13. ფარავანჭესის და ორთაჭალჭესის აგრეგატზე ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით დადგინილია, რომ საგენერატორო ძაბვის სინუსოიდურობის დამახინჯების კოეფიციენტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

14. მიზანშეწონილია, რეკომენდაცია მიეცეს შესაბამის სტრუქტურებს ჩატარდეს ანალოგიური კვლევები ქვეყნის მასშტაბით, როგორც ძველ, ასევე ახალი გენერაციის წყაროებზე, გამოიკვეთოს ქვეყნის მასშტაბით ელ.ენერგიის დაბინძურების რუკაზე გენერაციის წყაროების წილობრივი მდგენელი და დაისახოს შესაბამისი, როგორც საკანონმდებლო-ნორმატიული, ასევე ტექნიკური ღონისძიებები.



